ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელენე გლურჯიძე
# Elena Glurdjidze

პრიმა-ბალერინა, ინგლისის ნაციონალური ბალეტი

Senior principal dancer, English National Ballet

## შემოქმედებითი საღამო
## EVENING OF ART

მონაწილეობს
**ივან პუტროვი**
პროდიუსერი და პრემიერი

Featuring
**IVAN PUTROV**
Producer and Principal Dancer

მარგარიტა და არმანი
რაიმონდა

Marguerite and Armand
Raymonda



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
ZAKARIA PALIASHVILI
TBILISI STATE OPERA AND BALLET THEATRE

BRITISH COUNCIL

**28 აპრილი APRIL 2013**

რუსთაველის თეატრი
RUSTAVELI THEATRE

დასაწყისი BEGINNING AT
**19:45**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ელენე გლურჯიძე

*პრიმა-ბალერინა,*
*ინგლისის ნაციონალური ბალეტი*

## ELENA GLURDJIDZE

*Senior Principal Dancer, English National Ballet*

დაიბადა თბილისში. საბალეტო განათლება თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში და სანკტ-პეტერბურგის ა. ვაგანოვას სახელობის რუსული ბალეტის აკადემიაში ცნობილი რუსი ბალერინას ლიუბოვ კუნაკოვას ხელმძღვანელობით სწავლობდა. 2002 წლიდან ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინაა.

მის რეპერტუარშია მთავარი პარტიები ბალეტებში: „ჟიზელი", „დონ კიხოტი", „გედების ტბა", „მძინარე მზეთუნახავი", „მაკნატუნა", „რომეო და ჯულიეტა", „კონკია", „კოპელია", „მანონი", „თოვლის დედოფალი", „შოპენიანა", „ეტიუდები", „შეჰერეზადა", „ჩაიკოვსკი პა დე დე", „მომაკვდავი გედი", „ალისა საოცრებათა სამყაროში", „მოჩვენება კანტერვილიდან", „ვარდის ასული", „რაიმონდას" გრან პა, „Million Kisses to my Skin", „Suite en blanc", „Facing Viv", „Vue de l'autre", „Jeux", პა დე დე ბალეტებიდან „ბაიადერა" და „კორსარი".

იგი მონაწილეობდა ქეთი მელუას სიმღერის „მხოლოდ ტკივილი" ვიდეო რგოლში და ბი-ბი-სისი დადგმაში „იმპრესიონისტები".

ე. გლურჯიძე კრიტიკოსთა წრის მიერ დასახელებულია „საუკეთესო ბალერინად" (2009), გაიმარჯვა ვებ-გვერდის Ballet.co.uk გამოკითხვაში – ნომინაცია „საუკეთესო ბალერინა" (2007და 2008). პერმის მე-7 ღია კონკურსში გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო პარტნიორი" (2002.) არის ბალეტის სოლისტთა პარიზის მე-8 საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული (1998).

Born in Tbilisi. Trained at Tbilisi Choreographic School, later continuing at Vaganova St-Petersburg Academy of Russian Ballet under the tutorship of Russian ballerina Lyubov Kunakova. She has been senior principal dancer of the English National Ballet since 2002.

Her repertoire includes principal roles in *Giselle, Don Quixote, Swan Lake, The Sleeping Beauty, The Nutcracker, Romeo & Juliet, Cinderella, Coppélia, Manon, The Snow Queen, Chopiniana, Etudes, Schéhérazade, Tchaikovsky pas de deux, The Dying Swan, Alice in Wonderland, The Canterville Ghost, Le Spectre de la Rose, Raymonda* grand pas, *A Million Kisses to my Skin, Suite en blanc, Facing Viv, Vue de l'autre, Jeux* as well as pas de deux's from *La bayadère* and *Le Corsaire.*

Glurdjidze performed in Katie Melua's *It's Only Pain,* and appeared in the BBC production *The Impressionists.*

Her awards include the nomination for Best Female Dancer at the Critics Circle Awards in 2009, as well as 2007 and 2008 Ballet.co.uk Audience Poll for Best Female Dancer, Best Partner award at the 7th Perm Open Competition (2002), and the winning prize at the 8th Paris International Competition of Soloists (1998).

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ივან პუტროვი

*პრემიერი და პროდიუსერი*

## IVAN PUTROV

*Principal Dancer and Producer*

დაიბადა კიევში (უკრაინა). საბალეტო განათლება კიევის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ინსტიტუტში და ინგლისის სამეფო ბალეტის სკოლაში მიიღო, რის შემდეგაც ენტონი დაუელის მიწვევით სამეფო ბალეტის დასს შეუერთდა, სადაც სამ სეზონში პრემიერი გახდა.

პუტროვის რეპერტუარშია წამყვანი როლები ისეთი ქორეოგრაფების ბალეტებში, როგორებიც არიან კენეტ მაკმილანი, ფრედერიკ ეშტონი, ჯორჯ ბალანჩინი, მიხეილ ფოკინი, გლენ ტეტლი, ჯონ კრანკო, ავგუსტ ბურნონვილი, ჯერომ რობინსი, გერმან ზამუელი, უილიამ ფორსაიტი, ირჟი კილიანი, რასელ მალიფანტი, ხავიერ დე ფრუტოსი, ნაჩო დუატო და უეინ მაკგრეგორი. პუტროვი წარმატებით გამოდის მსოფლიოს ყველაზე სახელოვან თეატრებში, უნგრეთის, უკრაინის, ლიტვის ნაციონალურ საბალეტო დასეთან, ვენის სახელმწიფო ოპერაში და ინგლისის სამეფო ბალეტში.

დაჯილდოვებულია ლოზანას კონკურსის პირველი ჯილდოთი, სერჟ ლიფარის საერთაშორისო საბალეტო კონკურსის ოქროს მედლით, ვაცლავ ნიჟინსკის ფესტივალის ოქროს მედლით, ნაციონალური ცეკვის კრიტიკოსთა ჯილდოთი, მედლით შრომისა და მიღწევებისთვის უკრაინის პრეზიდენტისგან, არის უკრაინის დამსახურებული არტისტი.

2011 წელს პუტროვმა განასახიერა კარლის როლი ხავიერ დე ფრუტოსის პროექტში „ყველაზე საოცარი რამ". დადგმა ცნობილმა მუსიკალურმა ჯგუფმა Pet Shop Boys მას შემდეგ შექმნა, რაც პუტროვმა მათი 2005 წლის ალბომი „სახაზო ხომალდი პოტიომკინი" მოისმინა, რომელიც ამავე სახელწოდების ფილმის (1925) მუსიკალური გაფორმებისთვის შეიქმნა. ივანმა ალბომის მოსმენის შემდეგ ჯგუფს მისთვის საბალეტო მუსიკის დაწერა სთხოვა. ბალეტი BBC-მ გადაიღო და სხვადასხვა პრიზით დაჯილდოვდა.

2012 წელს ივანმა ჩაიფიქრა და ლონდონის Saddler's Wells თეატრში განახორციელა პროექტი „მამაკაცები მოძრაობაში", დადგმა, რომელიც მამაკაცის საბალეტო ცეკვის საუკუნოვან განვითარებას შეეხება. ნაშრომს ორი წარმატებული საღამო ჰქონდა ლონდონში, 2013 წლის თებერვალში კი მოსკოვში იყო წარმოდგენილი.

Born in Kiev, Ukraine to a ballet family. Trained at the Kiev State Choreographic Institute and at The Royal Ballet School. Upon graduation Anthony Dowell invited him to join The Royal Ballet, where he became a principal after three seasons.

Putrov's repertory includes principal roles in ballets by Kenneth MacMillan, Frederick Ashton, George Balanchine, Mikhail Fokine, Glen Tetley, John Cranko, August Bournonville, Jerome Robbins, German Zamuel, William Forsythe, Ji í Kylián, Russell Maliphant, Javier De Frutos, Nacho Duato and Wayne McGregor. His International appearances include leading roles with National Ballet Companies of Hungary, Ukraine, Lithuania, Vienna Staatsoper and with The Royal Ballet in many of the world's most renowned theatres.

Awards include Premier Prix at the Prix de Lausanne, Gold medal at the Serge Lifar International Ballet Competition, Gold Medal at the Vaslav Nijinsky Festival, Critics' Circle National Dance Award, Medal for Work and Achievement from the President of Ukraine and Honorary Artist of Ukraine.

In 2011 he created the role of Karl in *The Most Incredible Thing*, choreographed by Javier De Frutos. The work was originally created for Ivan by Pet Shop Boys, after he had heard their 2005 score for the 1925 classic film *Battleship Potemkin* and suggested they write a ballet for him. The show was filmed by the BBC and received various awards.

In 2012 Ivan conceived and produced *Men in Motion* at Saddler's Wells Theatre, London. The show looks into a century of development of the male dancer in ballet theatre. The show had two successful runs in London and was staged in Moscow in February 2013.

ჟ4/1938
PP 2165

ალექსანდრე გლაზუნოვი

# რაიმონდა

*მესამე მოქმედება*

**მარიუს პეტიპას** ქორეოგრაფიის მიხედვით

დამდგმელი ქორეოგრაფები
**ნინო ანანიაშვილი, ალექსეი ფადეეჩევი**

დადგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები
**ტატიანა რასტორგუევა, ეკა შავლიაშვილი**

კოსტიუმების მხატვარი
**ნინო ოჩიაური**

რაიმონდა – ელენე გლურჯიძე
გრაფი ჟან დე ბრიენი – ივან პუტროვი

Alexander Glazunov

# RAYMONDA

*III Act*

Based on choreography by **Marius Petipa**

Staging choreographers
**Nina Ananiashvili, Alexei Fadeyechev**

Assistants to staging choreographers
**Tatiana Rastorgueva, Eka Shavliashvili**

Costume design by
**Nino Ochiauri**

Raymonda – ELENA GLURDJIDZE
Jean de Brienne – IVAN PUTROV

---

# მარგარიტა და არმანი

*ბალეტი ერთ მოქმედებად*

მუსიკა: ფერენც ლისტი, საფორტეპიანო სონატა სი მინორი
პრემიერა თბილისში გაიმართა 2008 წლის 9 მაისს

**ფრედერიკ ეშტონის** ქორეოგრაფია

დამდგმელი ბალეტმაისტერი **გრანტ კოილი** (ინგლისის სამეფო ბალეტი)

**სესილი ბიტონის** სცენოგრაფია

მხატვარ-შემსრულებელი **დავით მონავარდისაშვილი**

კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი **ნათია სირბილაძე**

განათება **ამირან ანანელი**

ფორტეპიანო **თამარ მაჭავარიანი**

მარგარიტა – ელენე გლურჯიძე
არმანი – ივან პუტროვი

# MARGUERITE AND ARMAND

*Ballet in one act*

Music: Franz Liszt, Piano Sonata in h moll
Premiered in Tbilisi on May 9, 2008

Choreography by **Frederick Ashton**

Staging ballet master **Grant Coyle** (The Royal Ballet)

Scenography by **Cecil Beaton**

Set design by **David Monavardisashvili**

Costume design by **Natia Sirbiladze**

Lighting by **Amiran Ananeli**

Piano **Tamar Matchavariani**

Marguerite – ELENA GLURDJIDZE
Armand – IVAN PUTROV

სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი **ნიალა გოძიაშვილი**
Stage Producer **Niala Godziashvili**

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი **ნინო ანანიაშვილი**
Artistic Director of the State Ballet of Georgia **Nina Ananiashvili**

MARIGOLD
Marriott TBILISI
COURTYARD Marriott TBILISI
BGI LEGAL
24
INFO-TBILISI
106.9 FM FORTUNA
FM 102.4
RADIO MUZA
GEORGIA TODAY
FOCUS